ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1818172

ნომერი: AR1296317

თარიღი : 25.03.2015

გაცემის თარიღი : 01.04.2015

გაცნობის თარიღი : 01.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი , მასივი III , კორპუსი 51 , მიმდებარედ ნაკვეთი 20/036;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ჭუმბურიძე პ/ნ 62001018116
- ქ.თბილისი, ზ.ფანასკერტელ ციციშვილის 7, ბინა 71

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ალექსანდრე ახვლედიანი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "დავიდე"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406097762
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ჭუმბურიძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62001018116

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1259.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 524.7
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 6050.6
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 4685.61
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 345.26
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 361.03
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 658.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 20653.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 17713.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2940.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 45.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 42.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.3
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 524.7=0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 6206.3=4.9
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 173.9=0.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ვინაიდან კორექტირებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57–ე დადგენილების 63–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად ,,თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტაციაში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორ განო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ".
2. დამატებით ველში წარმოადგინეთ პროექტის ავტორის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა კორექტირებასთან დაკავშირებით.
3. წარმოადგინეთ კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი) 01.11.2013 წლის #974202 ბრძანების მე–5 პუნქტის თანახმად.
4. კოეფიციენტის მომატებასთან დაკავშირებით ზონალური საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაბამის ველში წარმოადგინეთ კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი და გადახდის გრაფიკი, დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ.
5. შესაბამის ველებში მიუთითეთ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპ), პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის ბრძანებების რეკვიზიტები.
6მოთხოვნის შინაარსი. -> .მოთხოვნის ტექსტი.: შესაბამის ველში მიუთითეთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება განაშენაინების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) მომატებასთან დაკავშირებით.

7.სატიტულო ინფორმაცია. -> .ელექტრონული ფოსტა.: შესაბამის ველში მიუთითეთ საპროექტო ორგანიზაცია

და საიდენტიფიკაციო კოდი.

8.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: უნდა დაიტანოთ ავტოსადგომში ჩასასვლელი პანდუსის დახრის საწყისი და ბოლო ნიშნულები და დახრის პროცენტულობა, გაითვალისწინეთ, რომ ღია პანდუსისთვის დახრა არ უნდა აღემატებოდეს 14%, ხოლო დახურულისა კი 18%-ს. ასევე უნდა იქნას დატანილი ავტომანქანის სადგომის რეალური რაოდენობა (დანომრეთ ავტოსადგომები და ბინები) მათი თავისუფლად გადაადგილების გათვალისწინებით. გათვალისწინებული უნდა იქნას მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე. –გათვალისწინებული იქნას პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ლიფტებამდე უსაფრთხო გადაადილებისათვის, რომლის დახრის პროცენტულობა არ უნდა აღემატებოდეს 6%. ყველა პანდუსს მიუთითეთ დახრის პროცენტი, დონეთა შორის სხვაობა და ზომები.

9.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: მიუთითეთ რელიეფის ნიშნულები

10.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების 35-ე მუხლის მე-3 პუნქტისთანახმად "როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთს ერთზე მეტი მხრიდან ესაზღვრება ერთმანეთის გადამკვეთი ქუჩა ან/და სხვა საზოგადოებრივი სივრცე, შენობის ფასადის საანგარიშო სიმაღლე იანგარიშება უფრო განიერი ქუჩის ან საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან. სიმაღლის ეს მაჩვენებელი აგრეთვე ვრცელდება უფრო ვიწრო ქუჩაზე განთავსებული შენობის საანგარიშო ზედაპირის (ფასადის) იმ ნაწილზეც, რომელიც არ აღემატება უფრო განიერ ქუჩაზე გამავალ საანგარიშო ზედაპირის (ფასადის) სიგრძეს, მაგრამ არა უმეტეს 20 მეტრისა. უფრო ვიწრო ქუჩაზე განთავსებული საანგარიშო ზედაპირის (ფასადის) დანარჩენ ნაწილზე მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე განისაზღვრება მისი მოსაზღვრე ქუჩის ან სხვა საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან", აქედან გამომდინარე კი საჭიროა სიმაღლის განსაზღვრის სქემა ააგოს მეორე (ვიწრო) ქუჩიდანაც. საჭიროა ატვირთოთ მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა შემდეგი შემადგენლობით: გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილები; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის ნიშნულის განსაზღვრით (ფორმულა H=L/Y) და მათი შემაერთებელი სხივის ჩვენებით.

11.შეთანხმებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოადგინეთ მოთხოვნილი დოკუმენტი

12.კორექტირებული პროექტის ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოსადგენია ფოტომონტაჟის რამოდენიმე ხედი შორი და ახლო მანძილიდან.

13.კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: სამშენებლო გრაფიკი შედგენილი იქნას დარჩენილი/ჩასატარებელი სამუშაოების გათვალისწინებით

–დამატებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის არქიტექტურული ნაწილი სამსახური სრულყოფილად ვერ ადგენს შესაძლო ხარვეზებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.